



9978/4-2/21
30-09-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო
სამართლის იურიდიული პირის -
სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის
საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2015-2021 წლებში ზიანის ანაზღაურების
თაობაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
საფუძველზე? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით
ჩაშლილი სახით.
2. 2015-2021 წლებში, რა რაოდენობის თანხებზეა გაცემული პირველ პუნქტში
მითითებული სააღსრულებო ფურცლები (ასეთი ინფორმაციის არსებობის
შემთხვევაში)? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების
მიხედვით ჩაშლილი სახით.
3. 2015-2021 წლებში, როგორია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების
მაჩვენებელი (დაკმაყოფილდა/უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე). გთხოვთ,
აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
4. 2015-2021 წლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის
საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების
არსებობისას, რით იყო განპირობებული აღნიშნული გადაწყვეტილება (უარის
საფუძველი/მიზეზი).
5. 2015-2021 წლებში, როგორია სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის
შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მაჩვენებელი და ამ საჩივრების
განხილვის შედეგები (დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა). გთხოვთ, აღნიშნული
ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.

6. 2015-2021 წლებში, როგორია სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების მაჩვენებელი და ამ საჩივრების განხილვის შედეგები (დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა). გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის გაცემისას, ხდება თუ არა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გარდა სხვა საექსპერტო დაწესებულების დასკვნის მიღება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია ამ ექსპერტიზის დასკვნების ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით (2015-2021 წლები).
8. ჩერდება თუ არა სააღსრულებო წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრების შემთხვევაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა არის შეჩერების საფუძველი და როგორია სააღსრულებო წარმოებათა საერთო რაოდენობაში წარმოების შეჩერების ხვედრითი წილი. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით (2015-2021 წლები).
9. თქვენი უწყების ქვემდებარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში როგორია 2015-2021 წლებში სახდელდადებულობის პერიოდში სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.
10. თქვენი უწყების ქვემდებარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, რამდენს შეადგენდა 2015-2021 წლებში სამართალდამრღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის საერთო ოდენობა და აქედან რამდენი იყო ნებაყოფლობით გადახდილი ან იძულებითი აღსრულების გზით ამოღებული? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით ჩაშლილი სახით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე